



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვასაფი

ვასაფი შიჰაბ ალ-დინ აბდ ალ-ლაჰ იბნ ფაზლ ალ-ლაჰ შირაზი (XIII ს. დასასრული – XIV ს. დასაწყისი), ირანელი ისტორიკოსი. ცნობილია „ვასაფ ალ-ჰაზრათის“ („მისი უდიდებულესობის მეხოტბე“) სახელითაც. ავტორია დიდი საისტ. ნაშრომისა (სპარს. ენაზე) „თარიხე ვასაფი“ („ვასაფის ისტორია“). ნაშრომი წარმოადგენს ჯუვეინის თხზულების უშუალო გაგრძელებას და მოიცავს პერიოდს 1257-იდან 1323-მდე. თხზულებაში არის უხვი ცნობები ილხანთა საგადასახადო სისტემის შესახებ. ვ-ის პირველწყაროები იყო ჯუვეინისა და რაშიდ ალ-დინის საისტ. ნაშრომები, საფინანსო უწყების დოკუმენტები, საკუთარი თვალთ ნანახი და თვითმხილველთა მოგონებები. თხზულებაში არის საინტერესო ცნობები მონღოლთა ბატონობის დროინდელი საქართველოს შესახებ.

დ. კაციტაძე
